შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
"UNITED AIRPORTS OF GEORGIA" LLC

N 60

"28" "05" 2025

# ბრძანება

## შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" გენერალური დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის N35 ბრძანებით დამტკიცებულ აეროპორტების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების წესის შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შევიდეს ცვლილება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" გენერალური დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის N35 ბრძანებით დამტკიცებული აეროპორტების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების წესის შესახებ დებულების 6.7 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „6.7 მოქმედი საშვის დაზიანების (ფიზიკური, ზედაპირული დაზიანება), ან დაკარგვის შემთხვევაში საშვის მფლობელ პირს/ორგანიზაციას ეკისრება ჯარიმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბუნებრივი ცვეთის ფარგლებში დაზიანდა საშვზე დატანილი ვიზუალი, ნუმერაცია ან საშვში მოთავსებული ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი ბარათი. ჯარიმის ოდენობა განსაზღვრულია გაერთიანების მიერ. მოქმედი საშვის დაზიანების (ფიზიკური, ზედაპირული დაზიანება), ან დაკარგვის შემთხვევაში, გაერთიანების მიერ განსაზღვრული ჯარიმის ოდენობები მოცემულია წინამდებარე დებულების #4 დანართში."
2. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" გენერალური დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის N35 ბრძანებით დამტკიცებული აეროპორტების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების წესის შესახებ დებულების #4 დანართი დამტკიცდეს განახლებული, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
3. დაევალოს IT დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.airports.ge;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საავიაციო უშიშროების დირექტორს;
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი:

*„აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების შესახებ“ დებულების დანართი #4.*

**გენერალური დირექტორი** **ლევან მოსეშვილი**

*დანართი #4*

*დამტკიცებულია შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" გენერალური დირექტორის 2025 წლის 28 მაისის #60 ბრძანებით*

## პიროვნების საშვები

| საშვის დასახელება | ვისზე გაიცემა | მოქმედების ვადა | დაშვების საფასური თითოეულ აეროპორტში | | | | | დაჩქარებული გაცემის საფასური |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი | მესტია | ამბროლაური | |
| პიროვნების მუდმივი საშვი | სარეჟიმო ტერიტორიაზე ხანგრძლივი დაშვების საჭიროების მქონე ფიზიკურ პირზე | დამზადებიდან არაუმეტეს 12 თვე | 70 ლარი | 55 ლარი | 55 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| | სარეჟიმო ტერიტორიაზე ხანგრძლივი დაშვების საჭიროების მქონე ფიზიკურ პირზე | დამზადებიდან არაუმეტეს 24 თვე | 100 ლარი | 80 ლარი | 80 ლარი | 60 ლარი | 60 ლარი | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| უნივერსალური საშვი | გაიცემა ერთზე მეტ აეროპორტში დაშვების უფლების მინიჭების შემთხვევაში | დამზადებიდან არაუმეტეს 12 თვე | 150 ლარი | | | | | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| | გაიცემა ერთზე მეტ აეროპორტში დაშვების უფლების მინიჭების შემთხვევაში | დამზადებიდან არაუმეტეს 24 თვე | 200 ლარი | | | | | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| პიროვნების დროებით საშვი | სარეჟიმო ტერიტორიაზე დროებითი დაშვების საჭიროების მქონე ფიზიკურ პირზე | დამზადებიდან არაუმეტეს 30 დღე | 50 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | 30 ლარი | 30 ლარი | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| | ფიზიკურ პირზე, რომელმაც დაკარგა მოქმედი მუდმივი ან დროებითი საშვი | საშვის დაკარგვის ფაქტზე მოკვლევის დასრულებამდე | 50 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | 30 ლარი | 30 ლარი | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| | საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტებზე სასწავლო პრაქტიკის დროს | დამზადებიდან არაუმეტეს 30 დღე | 20 ლარი | 16 ლარი | 16 ლარი | 12 ლარი | 13 ლარი | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| პიროვნების ერთჯერადი საშვი | სარეჟიმო ტერიტორიაზე ერთჯერადად შესვლის საჭიროების მქონე ფიზიკურ პირზე | გაცემიდან 24 საათი | უფასო | უფასო | უფასო | უფასო | უფასო | N/A |

***შენიშვნები:***

* - საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრის (ე.წ. "საფრენოსნო") საშვი და სსიპ "საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს" თანამშრომლის საშვი გაიცემა სსიპ "საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს" მიერ.

* - ყველა ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

* - დაჩქარებული წესით საშვი გაიცემა აეროპორტისთვის მიმართვის დღეს, თუ მიმართვა მოხდება სამუშაო საათების დასრულებამდე სულ მცირე 3 საათით ადრე. სხვა შემთხვევაში დაჩქარებული საშვი გაიცემა მომდევნო სამუშაო დღეს.

* - მოკლევადიანი საშვის მფლობელი პირი, თუ მას არ აქვს გავლილი სპეციალური სწავლება და მისი შემოწმებული ანკეტური მონაცემები არ გააჩნია აეროპორტის შესაბამის სამსახურს, აეროპორტის სარეჟიმო ტერიტორიაზე უნდა გადაადგილდეს მუდმივი საშვის მქონე პირის თანხლებით. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება და მისი ანკეტური მონაცემები დადასტურებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მიერ.

* - ერთჯერადი საშვის მფლობელი პირი აეროპორტის სარეჟიმო ტერიტორიაზე უნდა გადაადგილდეს მუდმივი საშვის მქონე პირის თანხლებით.

* - მოკლევადიანი საშვი ერთსა და იმავე პირზე შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 5-ჯერ კალენდარული წლის განმავლობაში. ერთჯერადი საშვი შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 5-ჯერ, კალენდარული თვის

* - ნებისმიერი სახეობის საშვის დაკარგვა / დაზიანება / საშვის დაბრუნების ვადის გადაცილება დაჯარიმდება 100 ლარის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბუნებრივი ცვეთის ფარგლებში დაზიანდა საშვზე დატანილი ვიზუალი, ნუმერაცია ან საშვში მოთავსებული ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი ბარათი.

*- თუ პირი არ აბრუნებს საშვს, აეროპორტს შეუძლია დააკისროს მას ჯარიმა საშვის დაკარგვისათვის. ვადაგასული საშვის დაკარგვა ან დაზიანება არ ჯარიმდება.

* - საშვის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, საშვის აღდგენის ღირებულება დამატებით არ გადაიხდება.

*დამტკიცებულია შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 28 მაისის #60 ბრძანებით*

## ავტოსატრანსპორტოსაშუალებისსაშვები

| საშვის დასახელება | ვისზე გაიცემა | მოქმედების ვადა | დაშვების საფასური თითოეულ აეროპორტში | | | | | დაჩქარებული გაცემის საფასური |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი | მესტია | ამბროლაური | |
| ავტოსატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი (არაუმეტეს 5 შესაძლო მძღოლის მითითებით) | ავიასაწარმოების და აეროპორტის ფუნქციონირებაში ჩართული სუბიექტების ავტომობილებზე | დამზადებიდან არაუმეტეს 1 წელი | 200 ლარი | 160 ლარი | 160 ლარი | 120 ლარი | 120 ლარი | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| ავტოსატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი 30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით (არაუმეტეს 5 შესაძლო მძღოლის მითითებით) | სარეჟიმო ტერიტორიაზე დროებითი დაშვების საჭიროების მქონე ავტომობილებზე | დამზადებიდან არაუმეტეს 30 დღე | 50 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | 30 ლარი | 30 ლარი | საშვის ღირებულებას ემატება 100 ლარი |
| ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი საშვი | სარეჟიმო ტერიტორიაზე ერთჯერადად დაშვების საჭიროების მქონე სხვა ავტომობილებზე | გაცემიდან 24 საათი | 75 ლარი | 65 ლარი | 65 ლარი | 45 ლარი | 45 ლარი | N/A |

***შენიშვნები:***

* - ყველა ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

* - დაჩქარებული წესით საშვი გაიცემა აეროპორტისთვის მიმართვის დღეს, თუ მიმართვა მოხდება სამუშაო საათების დასრულებამდე სულ მცირე 3 საათით ადრე. სხვა შემთხვევაში დაჩქარებული საშვი გაიცემა მომდევნო სამუშაო დღეს.

* - საშვის დამზადებისას 5-ზე მეტი მძღოლის ჩაწერის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი მძღოლის ჩაწერის ღირებულებაა 4 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

* - ნებისმიერი სახეობის საშვის დაკარგვა / დაზიანება / საშვის დაბრუნების ვადის გადაცილება დაჯარიმდება 100 ლარის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბუნებრივი ცვეთის ფარგლებში დაზიანდა საშვზე დატანილი ვიზუალი, ნუმერაცია ან საშვში მოთავსებული ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი ბარათი.

* - თუ პირი არ აბრუნებს საშვს, აეროპორტს შეუძლია დააკისროს მას ჯარიმა საშვის დაკარგვისათვის. ვადაგასული საშვის დაკარგვა ან დაზიანება არ ჯარიმდება.

* - საშვის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, საშვის აღდგენის ღირებულება დამატებით არ გადაიხდება.

## საშვებში ცვლილებების შეტანის სახეები და საფასური

| საშვის დასახელება | ცვლილების ტიპი | ცვლილების საფასური თითოეულ აეროპორტში | | | | | დაჩქარებული ცვლილების საფასური |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი | მესტია | ამბროლაური | |
| პიროვნების მუდმივი საშვი | დაშვების-ზონის ცვლილება | 35 ლარი | 25 ლარი | 25 ლარი | 20 ლარი | 20 ლარი | 180 ლარი |
| | პიროვნების თანამდებობის ცვლილება | 35 ლარი | 25 ლარი | 25 ლარი | 20 ლარი | 20 ლარი | 180 ლარი |
| ავტოსატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი | მძღოლის დამატება ანდა ამოღება | 50 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | 30 ლარი | 30 ლარი | 180 ლარი |
| | დაშვების ზონის ცვლილება | 50 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | 30 ლარი | 30 ლარი | 180 ლარი |
| ავტოსატრანსპორტო საშუალების მოკლევადიანი საშვი | დაშვების ზონის ცვლილება | 50 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | 30 ლარი | 30 ლარი | 180 ლარი |
| | მძღოლის დამატება ანდა ამოღება | 50 ლარი | 40 ლარი | 40 ლარი | 30 ლარი | 30 ლარი | 180 ლარი |

***შენიშვნები:***

* - არცერთი სახის ცვლილება არ გულისხმობს საშვის ვადის გაგრძელებას. დაშვების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ახალი საშვის აღების გზით.

* - ყველა ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

* - დაჩქარებული წესით ცვლილების შეტანა ხდება აეროპორტისთვის მიმართვის დღეს, თუ მიმართვა მოხდება სამუშაო საათების დასრულებამდე სულ მცირე 3 საათით ადრე. სხვა შემთხვევაში დაჩქარებული წესით ცვლილების შეტანა ხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

სხვადასხვა მომსახურების სახეები და საფასური

| მომსახურების დასახელება | მომსახურების აღწერა / განმარტება | საფასური თითოეულ აეროპორტში | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი | მესტია | ამბროლაური |
| ავტოტრანსპორტის დათვალიერება-შემოწმება სარეჟიმო ტერიტორიაზე შესვლისას | | 5 ლარი | 5 ლარი | 5 ლარი | 5 ლარი | 5 ლარი |
| ავტოტრანსპორტის დათვალიერება-შემოწმება სარეჟიმო ტერიტორიიდან გამოსვლისას | | 5 ლარი | 5 ლარი | 5 ლარი | 5 ლარი | 5 ლარი |

***შენიშვნები:***

* - ყველა ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

* - ავტომანქანის ერთჯერადი საშვის შემთხვევაში, დათვალიერების საფასური არ გადაიხდება.